პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოცების 47-ე წელი № 150 (13544) | შაბათი, 2 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი ნობათები

△ საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ქასრაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. ძაძამიამ რედაქციას აცნობეს: ადიგენელმა მშრომელებმა 20 ივნისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.060 ცენტნერი ბორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 2.040 ცენტნერისა, 12.720 ცენტნერი რძე ნაცვლად 12.650-ისა, 66 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 65-ისა, 173.800 ცალი კვერცხი ნაცვლად 115 ათასისა.

△ წყალტუბო. (საკ. კორ.). წყალტუბოს ჩაის ფაბრიკამ მარტო მაისში მიიღო და გადამუშავა 1.686 ტონა ნედლეული, 474 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ფაბრიკის კოლექტივმა ჩინებულად გაართვა თავი მოზღვაევებული ნედლეულის გადამუშავებას, ამასთან დაცალება ყველა ასორტიმენტის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა. უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 144,4 პროცენტით, პირველი ხარისხისა — 161,9 პროცენტით.

ფაბრიკამ ათობით ტონა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაი გაგზავნა მოსკოვისა და თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკებს.

△ ჰიათურა. (საკ. კორ.). რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. დიმიტროველებმა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ნახევარი წლის დავალება ოცი დღით ადრე შეასრულეს და ივლისის ანგარიშში ათასობით ტონა მარგანეცი გაუგზავნეს მეტალურგიულ ქარხნებს.

მამაცურად შრომობენ სოციალისტური შრომის გმირი ვ. გოგატიშვილი, წარჩინებული მაღაროელები ტ. ჭიღლაძე, მ. აბრამიშვილი, ა. ყაველაშვილი, გ. სოფრომაძე, მ. დეკანოიძე და სხვები.

მაღაროს კოლექტივი იბრძვის, რომ ხუთწლედის პირველი წლის დავალება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 49-ე წლისთავისათვის შეასრულოს.

არმიისა და ხალხის ძლავრი ერთობა

სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა შეხვედრა კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან

აი ისინი — სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულნი, ჩვენი შეიარაღებული ძალების სიამაყენი. ხვალ ისინი დადგებიან რაკეტულ დანადგარებთან, საბრძოლო ხომალდების, ატომური წყალქვეშა ნავების შტურვალებთან, ჩაიყვანენ საჰაერო რაკეტმზიდავ ესკადრილიებს, იქნებიან ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომართა მასწავლებლები და აღმზრდელები.

ფოტო ი. სურატოვისა და ს. კოსირევისა. („იზვესტია").

დამთავრდა სასწავლო წელი სამხედრო აკადემიებში. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს უერთდება შესანიშნავ მეთაურთა, პოლიტმუშაკთა, სამხედრო ინჟინერთა და სხვა პირველხარისხოვან სპეციალისტთა ახალი რაზმი, რომელნიც ჩვენი სამშობლოს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგული არიან, მუდამ მზად არიან პირნათლად შეასრულონ თავიანთი წმიდათა წმიდა მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ძველი კარგი ტრადიციისამებრ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ დარბაზობა გაუმართეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიათა კურსდამთავრებულებს. 1 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა მსმენელები, პროფესორები, მასწავლებლები. მათთან ერთად აქ იყვნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების გენერლები და ოფიცრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში დაეუფლნენ სამხედრო ცოდნას.

დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ბ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. შელეპინს, ვ. ვ. გრიშინს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ. პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ვ. ე. დიმიჩევმა, მ. ტ. ეფრემოვმა, ვ. ა. კირილინმა, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ი. ა. ნოვიკოვმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. ბ. გიორგაძემ, სსრ კავშირის მინისტრებმა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა კავშირის მარშლებმა, ჯარების მეთაურებმა მარშლებმა, საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის გენერლებმა, ადმირალებმა და ოფიცრებმა.

საზეიმო დარბაზობა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ.

თავდაცვის სამინისტროსა და პირადად თავისი სახელით მან სულითა და გულით მიულოცა კურსდამთავრებულებს სამხედრო აკადემიათა წარმატებით დამთავრება და უსურვა დიდი წარმატებანი ცხოვრებაში და კარგი სამსახური.

ჩემთვის სასიამოვნოა მოვახსენო ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას, თქვა მინისტრმა, რომ წარმატებით სრულდება ამოცანები, რომელნიც თავდაცვის სამინისტროს წინაშეა დასახული სამხედრო კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ამ გამოშვების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ოფიცრებმა, რომლებმაც მეთაურთა პროფილის უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, მიიღეს ჩინებული ინჟინერულ-ტექნიკური მომზადება, ხოლო ოფიცრებს, რომლებმაც საინჟინრო ფაკულტეტები დაამთავრეს, აქვთ საჭირო ოპერატიულ-ტაქტიკური ცოდნა და მეთაურთა ჩვევები. ყველა კურსდამთავრებული ოფიცერი შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ, განაგრძო რ. ი. მალინოვსკიმ, განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები. დასახა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების უახლოესი 5 წლის კონკრეტული პროგრამა. ყრილობამ მოგვცა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. აღნიშნა, რომ იზრდება იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ევროპაში მათი მთავარი მოკავშირის — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აგრესიულობა.

სასტიკი და სამარცხვინო ომი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და მათი ყანდარმული აქციები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აშკარა რევანშისტული და დაუნებული მისწრაფება აღადგინოს ფაშისტური რაიხის საზღვრები, ბონელ მილიტარისტთა ცდები, რადაც უნდა დაუჯდეთ ხელი იგდონ ატომური იარაღი, სულ უფრო მზარდი ხარჯები არმიისათვის, რომლის რიცხვი, ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის ნახევარ მილიონს აღემატება, — ყოველივე ეს გვავალებს ყოველნაირად გავადიდოთ სიფხიზლე, მუდამ მზრალი გკქონდეს ფალია, ანდა თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში გვქონდეს სტრატეგიული დანიშნულების რაკეტები, ისეთ მდგომარეობაში გვყავდეს არმია და ფლოტი, რომ მათ შეძლონ დაუყოვნებლივ დაიცვან სამშობლო და მომძე სოციალისტური ქვეყნების ინტერესები. დე იცოდნენ იმპერიალისტებმა, რომ თუ ისინი შეეცდებიან გაიჩაღონ ომი, გარდუვალად და დაუყოვნებლივ მიიღებენ საკადრის პასუხს.

ყველასათვის სრულიად ცხადი უნდა იყოს, ხაზი გაუსვა მინისტრმა, რომ იმპერიალისტებმა დღემდე უწინარეს ყოვლისა იმიტომ ვერ ჩაბეს მსოფლიო თერმოატომურ ომში, რომ ჩვენს პლანეტაზე არის ისეთი მძლავრი შემაკავებელი ძალა. როგორიცაა საბჭოთა კავშირი და მისი შეიარაღებული ძალები, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სოციალისტური ქვეყნები და მათი არმიები.

ყოველივე ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს, და რაც მთავარია — ყველამ თავის პოსტზე ყოველი ღონე უნდა იხმაროს ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების გადიდებისათვის.

მეთაურის, პოლიტმუშაკის, სამხედრო ინჟინრის წარმატებით საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა აღმზრდელობითი მუშაობა. ადამიანებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება, ხელქვეითთან გულწრფელი ურთიერთობის დამყარების უნარი, თითოეულის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, ზრუნვა მეომრებზე — ყოველივე ეს მეტად სერიოზული ფაქტორია. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმმართველი მეთაური-პასუხს აგებს არა მარტო ხელქვეითთა სწავლებისადიად მონაპოვართა დაცვის საქმეში. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად გაუძღვეს მძიმე განსაცდელს, რაც იმპერიალისტებმა თავს მოგვახვიეს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში. ისინი ამ განსაცდელიდან გამოვიდნენ კიდევ უფრო გამოწრთობილნი, ძლიერნი, რომლებსაც შესწევთ უნარი საიმედოდ დაიცვან სამშობლო ყოველი აგრესორისაგან.

ჩვენს დროში მსოფლიო ისტორიის მოვლენები სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის სასარგებლოდ ვითარდება. ჩვენ ღრმად გვწამს ჩვენი მომავალი. მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა შეგვესუსტებინა რევოლუციური სიფხიზლე და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის მეცადინეობა. მარქსისტულ-ლენინური თეორია, ჩვენი გამოცდილება გვასწავლის, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, უზრუნველყოფდეთ მობილიზაციურ მზადყოფნას, დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ ჩვენს სამხედრო ძლიერებას. საბჭოთა ხალხი არც ძალლობს, არც სახსრებს არ იშურებს იმისათვის, რომ გაამრავლოს შეიარაღებული ძალების ძლიერება.

ახლა განსაკუთრებით ცხადია, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებამ, მის წინააღმდეგობათა გამწვავებამ გააძლიერა იმპერიალიზმის ავანტიურიზმი და აგრესიულობა. ამერიკის შეერთებული შტატების განუწყვეტელი დანაშაულებრივი, ბარბაროსული ომი ვიეტნამში, ამერიკის სამხედრო ხროვის ახალი პროვოკაციები რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, ამერიკის იმპერიალიზმის მეტისმეტი გულუბრველობა დასავლეთგერმანელ რევანშისტებთან და იმპერიალისტთა ბევრი სხვა მოქმედება და განზრახვები არ გვაძლევს უფლებას შევასუსტოთ ჩვენი ყურადღება, ჩვენი ზრუნვა და მეცადინეობა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის, საბჭოთა არმიის კადრების მშენებლობის სრულყოფის ძლიერების გადიდებისა და აღზრდისათვის.

ჩვენს ხალხს დიდი გამოცდილება აქვს, და არაფერი დავიწყებია იქიდან, რაც იმპერიალიზმის ვერაგობასა და სისასტიკეს შეეხება. სწორედ რამდენიმე დღის წინათ 25 წელი შესრულდა საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტური ჰიტლერული გერმანიის ბანდიტური თავდასხმიდან და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან.

ამ ომში ჩვენს ხალხს წილად ხვდა ყველაზე მძიმე განსაცდელი მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. მაგრამ ლენინური პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა ხალხმა, რომელიც ეყრდნობოდა თავისი ხელით შექმნილ ძლევამოსილ პოლიტიკურ და ეკონომიურ წყობილებას, თავის შეიარაღებულ ძალებს, არ დაიჩოქა ვერავინ, სასტიკი და ძლიერი მტრის წინაშე. მან გამოიჩინა უდიდესი სიმამაცე, სიმტკიცე, დიდი ჭკუა და უმაგალითო გმირობა. საბჭოთა ხალხმა იხსნა არა მარტო თავისი სამშობლო, არამედ ბევრი ხალხის სიცოცხლე, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მთელი კაცობრიობა გაათავისუფლა ფაშისტური შავი ჭირისაგან.

ყველასათვის კარგად ცნობილია, თუ როგორ დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი და როგორი იყო მისი საერთო შედეგი. ამასთან დაკავშირებით დიდი სინანულით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დასავლეთში ზოგან არიან „მკვლევარები", რომლებიც ცდილობენ დაამახინჯონ ომის არსი და შეამცირონ ჩვენი გამარჯვებების მნიშვნელობა. რა უბადრუკია ეს ცდები! ვინც ვერ შეითვისა მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილები, ვისაც სურს იარაღის ძალით კიდევ ერთხელ გამოსცადოს ჩვენი საბჭოთა წყობილების სიმტკიცე, მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება, მას გარდუვალად მოელის გერმანიის ფაშიზმისა და ყველა მისი თანამზრახველის ბედი. (ტაში).

ომმა ბევრი რამ ასწავლა ჩვენს პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს. იმპერიალიზმის აგრესიულობის გაძლიერების ახლანდელ ვითარებაში საბჭოთა მთავრობას და მთელ ხალხს თავიანთ წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნიათ განუწყვეტლივ განამტკიცონ სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება. ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა მოგვცეს შესაძლებლობა შევგექმნა მძლავრი, თვისებრივად ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არმიისა და ფლოტის უახლესი იარაღით აღჭურვისათვის, მოგვეხდინა შეიარაღებული ძალების ძიერული რეორგანიზაცია. ამჟამად საბჭოთა არმიას საკმაო რაოდენობით აქვს ყველაზე თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და ინარჩუნებს უპირატესობას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა არმიებთან შედარებით.

ყველა საბჭოთა ადამიანი გამსჭვალულია გულითადი მადლობის გრძნობით ჩვენი მეცნიერების, კონსტრუქტორების, მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისადმი. ყველა იმათდამი, ვისი შრომითა და ნიჭით შეიქმნა ჩვენი არმიის პირველხარისხოვანი შეიარაღება.

იძულებული ვართ კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება იმიტომ კი არა, რომ დავიტრაბახოთ ან ვინმე შევაშინოთ, ამას ვამბობთ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამჟამად ასეთია საქმის რეალური ვითარება. ჩვენი უპირატესობა უახლეს სახეობათა სამხედრო ტექნიკაში ფაქტია, ამხანაგებო, ფაქტები კი ჯიუტი რამეა. (ტაში).

კიდევ იმიტომ გვიხდება ამ თემაზე ლაპარაკი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი გაშმაგებული გენერალი და პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწეც კი მეტად დაუფიქრებლად და წინდაუხედავად ამტკიცებს საწინააღმდეგოს და ყოველნაირად აზვიადებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებას.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გასაკვირი აქვს ათასნაირ ზღაპრებს; თითქოს მათ ჰქონდეთ ყველაზე „ყოველისმხედველი" ჯაშუში თანამგზავრები", „ყველაზე მეტი რაკეტა", „ყველაზე მოუხელთებელი წყალქვეშა ნავები" და ასე შემდეგ. და მრავალი ამდაგვარი. მაგრამ ყოველივე ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, სიხამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან ამ ზღაპრების ავტორები გულისხმობენ იმათ გულუბრყვილობას, ვინც სულაც არ იცის როგორი რაკეტები, როგორი თანამგზავრები, როგორი წყალქვეშა ნავები და სხვა თანამედროვე ტექნიკა აქვს საბჭოთა კავშირს. მართალია, იქ გაისმის სხვების ხმებიც, ვინც ქმნის პროგნოზებს, თუ რა ახალი სახეობის ძარაღი აქვს საბჭოთა არმიას. ამასთან, უამრავ სისულელეს ჩმახავენ. მაგრამ ერთ რამეში პრინციპულად არ ცდებიან: საბჭოთა კავშირსა და მის არმიას მართლაც წლითიწლობით ემატება დიდძალი ახალ სახეობათა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკა, რომლის საშუალებით შეიძლება სწრაფად „დავაშშმინოთ" ყველა ზედმეტად თავგასული აგრესორი. რაც მართალია მართალია, ამხანაგებო! (ხანგრძლივი ტაში).

კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა კვლავაც არაფერს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ ჩვენი არმიის ძლიერება და საბრძოლო მზადყოფნა სავსებით საკმარისი იყოს ყოველი აგრესორის გასანადგურებლად. ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დარგში ასეთი კურსის განხორციელებისათვის ჩვენს პარტიას აღფრთოვანებს ის, რომ მის პოლიტიკას ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი.

მაგრამ, ამხანაგებო, სავსებით ცხადია, რომ რა კარგადაც უნდა იყოს შეიარაღებული ჩვენი არმია, რა ტექნიკაც უნდა ჰქონდეს მას, მარტო ეს საკმარისი არ არის. შეიძლება გვქონდეს ყველაზე თანამედროვე იარაღი, ჯარების საუკეთესო ორგანიზაცია, მაგრამ თუ არმიას არ ეყოლა საკმარისი რაოდენობით მომზადებული, პარტიული, ინტერნაციონალური, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ეს ფაქტორი ბევრ ამბავს ნიშნავს. ეს ფაქტორი ბევრ ამბავს ნიშნავს. ეს ფაქტორი ბევრ ამბავს ნიშნავს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა მთავრობის გაცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის ბომბდამშენებმა ბომბი ჩამოაგდეს ჰაიფონის ნავსადგურზე

ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მიერ ჰანოისა და ჰაიფონის რაიონების დაბომბვას განსაკუთრებით საშიში ხასიათი აქვს. იგი ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ სამარცხვინო ომის შემდგომი გაფართოების კურსი. არის ცნობები, რომ ვაშინგტონში სახავენ ჩრდილოეთ ვიეტნამის ჯებირებისა და კაშხლების დანგრევის ბარბაროსულ გეგმებს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ასეულათასობით ადამიანის სიცოცხლეს, მოუსპობდა მათ კვების საშუალებებსა და თავშესაფარს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პირდაპირი მითითებით ჩადენილმა ამ დანაშაულობებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები სამარცხვინო ბომბი აკრავენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ წრეებს მსოფლიო ბოროტმოქმედების გამო ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატები უხეშად თელავენ ეუნეცის შეთანხმებებს ინდოჩინეთის შესახებ. საერთაშორისო სამართალს, აყენებენ ძალასა და მხოლოდ ძალას ყველაზე ელემენტარულ მორალურ და იურიდიულ ნორმებზე მაღლა, რომლებიც მიღებულია ადამიანთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ამერიკის სამხედრო ხროვის ახალი აყაჩაღური აქციები ვიეტნამში ერთხელ კიდევ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებანი, თითქოს ვიეტნამში „მშვიდობიან მოწესრიგებას" ესწრაფოდეს, მხოლოდ ლიტონი სიტყვებია.

ვიეტნამელი ხალხი არ შემდრკალა ამერიკის შეერთებული შტატების ავაზაკური თავდასხმის ნინაშე. ყველა სახეობის უახლესი იარაღით აღჭურვილი ასეულათასობით ამერიკელი ჯარისკაცის ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავდასხმებს ვიეტნამელმა ხალხმა დაუპირისპირა შეუდრეკელი მისწრაფება დაიცვას თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაუპირისპირა მტკიცე გადაწყვეტილება გაანადგუროს უცხოელი დამპყრობლები.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დანაშაულებრივ პოლიტიკას ვიეტნამში ამერიკელი ხალხი ათასობით ახალგაზრდა ამერიკელის სიცოცხლით ზღავს. ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიული ომის განგრძობა და გაფართოება ამერიკელ ხალხს მოუტანს ადამიანთა მხოლოდ ახალ, სრულიად გაუმართლებელ მსხვერპლს, პოლიტიკური ამბებიციებით გატაცებულ წრეებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების ზეგავლენით ქვეყანა მიაყავთ შემდგომი ავანტიურების გზით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას და სახელს უტეხენ და არცხვენენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ომის ვერავითარი „ესკალაცია" ვერ დაარჩენს ვიეტნამელ ხალხს, ვერ აიძულებს მას ხელი აიღოს თავის შეუვალ უფლებაზე — განაგებდეს საკუთარ ბედსა. ვიეტნამის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ პროგრამების საფუძველზე, რომლებიც წამოაყენეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა. ვიეტნამის მშვიდობის გზაა ის, რომ შეწყდეს უცხოეთის აგრესია და ვიეტნამელი ხალხის საშინაო საქმეებში ჩარევა. ამერიკის შეიარაღებული ძალები გაეყვანილ უნდა იქნან ვიეტნამიდან.

ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას აგრესორთა წინააღმდეგ ფართოდ უმერენ მხარს მსოფლიო პროგრესული ძალები.

საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას იმპერიალისტური თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლაში უწევდა და კვლავაც გაუწევს ყოველმხრივ დახმარებას — პოლიტიკურს, ეკონომიურს და თავდაცვის საშუალებით, საბჭოთა ხალხი მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის ხალხის განმთავისუფლებელ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის. ამ დახმარებას გავუწევთ ისეთი ოდენობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დავეხმაროთ ვიეტნამელ ხალხს დაიცვას თავისი მართალი საქმე.

ჰანოისა და ჰაიფონის რაიონებზე დანაშაულებრივი თავდასხმები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო აფართოებენ ავაზაკურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ეს თავდასხმები კიდევ უფრო ამწვავებენ მდგომარეობას ვიეტნამის რაიონში და მთელ საერთაშორისო ვითარებას. ამის გარეშე ჩვეულად ვერ მოეკიდება ვერც ერთი სახელმწიფო, რა შორსაც უნდა იყოს ვიეტნამისაგან, ვერც ერთი მთავრობა, რომელიც არა მოჩვენებითად, არამედ ნამდვილად ზრუნავს მშვიდობის ბედისათვის.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ იმ სახელმწიფოთა ხალხები და მთავრობები, რომლებსაც არა სურთ საერთაშორისო ვითარების საშიში გამწვავება და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწყებული აგრესიული ომის გაფართოება, გადაჭრით მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ ომი ვიეტნამის წინააღმდეგ. გამოვლენ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის დასაცავად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ქვანახშირის, ფიქალისა და ტორფის მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 29 ივნისის ბრძანებულებებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა 116 მუშაკს.

ქვანახშირის, ფიქალისა და ტორფის მრეწველობის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკების დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 891 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 2.328, „სიპატიო ნიშნის" ორდენით—4.279, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 3.755 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის„ 3,704 კაცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მანქანათმშენებლობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა მანქანათმშენებლობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი. იმ მუშაკებს, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ბრძანებულებანი ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა" და ადგილობრივ პრესაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

ტიისა და ხალხის უსაზღვროდ ერთგული სამხედრო კადრები, ჩვენ უფლება არა გვაქვს წარმატების იმედი გვქონდეს.

ჩვენი პარტია, საბჭოთა სახელმწიფო სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვრით, იმით, რომ დღეს ჩვენს სამშობლოს საჭირო რაოდენობით ჰყავს მსოფლიოში საუკეთესო სამხედრო კადრები. მთელ რიგ ძირითად გარანტიებთან ერთად ეს კიდევ ერთი საიმედო გარანტიაა იმისა, რომ ჩვენი დიადი საქმე — კომუნიზმის საქმე მტკიცედ დგას ფეხზე და მას ვერ შეაშინებს ვერავითარი მტერი, ვერავითარი შემთხვევითობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ გვყავს მხედართმთავართა დიდი რაზმი, რომელთა მხედრული საქმენი, სამხედრო იდეები და კონცეფციები თანამედროვე სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების მწვერვალია. ჩვენ გვყავს ოფიცერთა მრავალრიცხოვანი კორპუსი, რომლის ღირსება და უნარი, ჯარების მართვის და მეომართა აღზრდის უნარი საყოველთაოდ არის აღიარებული. ჩვენ გვყავს ზემდგებისა და ოფიცრების ისეთი შემადგენლობა, რომელიც ყველას შეშურდება, აღარაფერს ვამბობ ლეგენდარულ საბჭოთა ჯარისკაცზე, მის საბრძოლო და მორალურ თვისებებზე — ამის გამო ბევრი გულში ჩამწვდომი სიტყვა შეიძლება ითქვას, მაგრამ ეს საჭირო არ არის, იმიტომ რომ მთელმა მსოფლიომ იცის როგორია საბჭოთა ჯარისკაცი. ერთი სიტყვით, ამხანაგებო! ჩვენ გვყავს ისეთი არმია, რომელსაც საბჭოთა ხალხი შეიძლება სავსებით მიენდოს: მან იცის თავისი საქმე და იმედს არ გაგვიცრუებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

და, როგორც ჩვენში იტყვიან, ამ არმიის საფუძველს, მის ღერძს წარმოადგენენ კომუნისტები და კომკავშირელები, ოფიცრები, გენერლები და ადმირალები. ჩვენი პარტია დიდად აფასებს ამ კადრებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განუწყვეტლად ავსებდეს მათს რიგებს, ქმნიდეს ყველა პირობას მათი შემოქმედებითი და პროდუქტიული საქმიანობისათვის, პროფესიული და პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის. მეთაურთა შემადგენლობა და მთელი ჩვენი არმია გარემოსილია მთელი ხალხის სიყვარულითა და ზრუნვით. **ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება მომავალშიც. (ტაში).** ამ მხრივ სავსებით შეგიძლიათ მიენდოთ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას. **(მქუხარე ტაში).** ასე რომ იქცევა, ჩვენი პარტია ზუსტად ასრულებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდ ანდერძს, რომელიც გვასწავლიდა, რომ იმისათვის, რომ **საქმით** განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი არმია, უნდა მოვამზადოთ მისი კადრები, რათა ამ კადრებს „...შეეძლოთ... არმიად გაშლა, **როცა ეს საჭირო გახდება.** — ეს აბსოლუტურად აუცილებელია...“ ვ. ი. ლენინის ეს მითითება განსაკუთრებით აქტუალურად გაისმის დღეს. და ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საკმაო რაოდენობით გვყავდეს სამხედრო კადრები იმ შემთხვევისათვის, თუ დაგვჭირდა სამხედრო დროის არმიის გაშლა. აქ ჩვენ მოუმზადებელს ვერავინ მოგვისწრებს — სამხედრო კადრები ხომ იმდენი გვყავს, რამდენიც საჭიროა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამასთან უნდა გვახსოვდეს, ამხანაგებო, რომ ჩვენს საუკუნეში ტექნიკური პროგრესისა და სამხედრო საქმის სწრაფი განვითარების საუკუნეში, სამხედრო კადრები განუწყვეტლივ უნდა იზრდებოდნენ. ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება ცოდნის ძველი მარაგითა და წარსულის გამოცდილებით ცხოვრება, შესაძლოა უნარი არ ეყოს თანამედროვე თვალსაზრისით გადაწყვიტოს ჯარების მართვის ამოცანები.

თქვენ იცით, რა დიდი შეფასება მისცა სკკპ XXIII ყრილობამ საბჭოთა მეომრების საპატიო შრომას. ეს, უდავოდ, დამსახურებული შეფასებაა. ეს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მხოლოდ პატივისცემა როდია, ეს შეფასება ავალებს ყველა მეომარს, ჯარისკაცი იქნება იგი თუ მარშალი, გამოიჩინოს კიდევ მეტი ენერგია და მეცადინეობა არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ჯარების სწავლება და აღზრდა ყოველთვის რთული საქმე იყო. თქვენ ეს არის დაამთავრეთ უმაღლესი სკოლა და მიიღეთ მტკიცე თანამედროვე ცოდნა. თქვენი მისვლა ჯარში უდავოდ დადებით გავლენას მოახდენს მის მომზადებაზე. მინდა გისურვოთ, რომ უფრო სწრაფად დაეუფლოთ ჯარების წვრთნის რთულ საქმეს. ისწავლოთ ხელქვეითებისათვის ცოდნის გადაცემა, გახდეთ თქვენი საქმის ოსტატები, ნამდვილად იყოთ ყოველივე იმ ახლის, მოწინავის მატარებლები, რაც კი არსებობს პირადი შემადგენლობის სწავლებასა და აღზრდაში.

პარტიამ და საბჭოთა ხალხმა ჩვენს არმიას მიანდეს წმიდათა წმიდა საქმე — სამშობლოს დაცვა. რა არის იმაზე მეტად საპატიო ამოცანა, რომ ღირსი იყო დიდი პატივისა — იცავდე კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიან შრომას!

იმ პირობებში, როცა ჩვენი არმია აღჭურვილია უაღრესად რთული იარაღით, რომლის გამოყენების წარმატება დამოკიდებულია ათობით, ასობით, ხშირად კი ათასობით ადამიანის უნარიან, შეთანხმებულ და ზუსტ მოქმედებაზე, უმაღლეს ორგანიზებულობას და შემსრულებლობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის მონოლითური შეკავშირება, იმისთვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს ჯარების ორგანიზებულობა და საბრძოლო მზადყოფნა, საჭიროა, ერთმმართველობის განმტკიცებასთან ერთად ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

პოლიტიკურ მუშაობაში არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის თვისებრივი ცვლილებანი, რომლებიც ამ უკანასკნელი წლების მახძილზე მოხდა ჯარების პირად შემადგენლობაში. ახლა არმიაში მიდიან უფრო მაღალი განათლების, ფართო ჰორიზონტის მქონე ჭაბუკები, რომლებსაც გაზრდილი ინტერესები და მოთხოვნილებანი აქვთ. ღირსშესანიშნავია, რომ არმიისა და ფლოტის მეტწილ ჯარისკაცებსა და სერჟანტებს აქვთ უმაღლესი, საშუალო ან დაუმთავრებელი საშუალო განათლება. პირადი შემადგენლობის განათლებულობის, კულტურის, საერთო განვითარების, სულიერ მოთხოვნილებათა ზრდის კვალობაზე უნდა იზრდებოდეს ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხიც, სრულყოფილი ხდებოდეს ამ მუშაობის ფორმები და მეთოდები.

სავსებით გასაგებია, რომ ეს მეთაურებისაგან, პოლიტმუშაკებისაგან, ყველა ოფიცრისაგან მოითხოვს პოლიტიკურ სიმწიფეს, მრავალმხრივ ცოდნას, ადამიანებისადმი დაკვირვებით მიდგომას, პედაგოგიურ ოსტატობას. მეომართა აღზრდა ერთგვარი ხელოვნებაა, თანაც რთული და ფაქიზი, რომელსაც თვითეული ოფიცერი უნდა ეუფლებოდეს.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერება და სიმტკიცე ემყარება ყველა სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებას, მათს ღრმა იდეურ სიმტკიცეს, კომუნიზმის იდეალების უსაზღვრო რწმენას. ჩვენი არმიის ეს მრისხანე იარაღი მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ეხმარებოდა მას მტრების დამარცხებაში. მაგრამ ისევე როგორც ყოველი სხვა იარაღი, იგი მუდამ საბრძოლოდ უნდა იყოს გამზადებული. თითოეული საბჭოთა მეომრის მომზადება ძნელი გამოცდებისათვის არა მარტო ტექნიკურად, არამედ პოლიტიკურად, მორალურად და ფიზიკურად წარმოუდგენელია, თუ კარგად არ გვექნა დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

აი რატომ არის, რომ სამხედრო საქმის წიგნიერ სპეციალისტთა მომზადებისას სამხედრო სასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მეტი ყურადღება დაუთმონ მსმენელთა აღზრდას, მათი იდეური წრთობის გაძლიერებას, მათთვის იმ მისწრაფების ჩანერგვას, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ წავიდნენ ჯარებში მუშაობის უძნელეს უბნებზე — სამხედრო კაცის რთული, მაგრამ საპატიო პროფესიის წინა ხაზზე. სამხედრო სასწავლებლებს უფრო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ჯარებთან, მუდამ უნდა იჩენდნენ იმის ინტერესს, თუ როგორ ეწევიან მათი აღზრდილები საბრძოლო სამსახურს. უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებს ჰყავთ შესანიშნავი კადრები და აქვთ კარგი მატერიალური ბაზა და ამიტომ კიდევ უფრო მეტი წვლილი უნდა შეიტანონ სამხედრო მეცნიერების განვითარებაში. სამხედრო მშენებლობისა და სამხედრო თეორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა კვლევაში, ახალი ტექნიკის შექმნასა და მისი გამოყენების საუკეთესო ხერხების გამოძებნაში. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ამ დიდ ამოცანებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო სასწავლებლები პირნათლად შეასრულებენ! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო!

ჩვენ ყველა დიდი კმაყოფილებით მოგესალმებოდით, რომ თქვენ, ისევე როგორც მრავალ ათას, მილიონობით თქვენს კოლეგას, შეგეძლოთ სამხედრო ფორმა სამოქალაქოზე გადაგეცვალათ და თქვენი თავი, თქვენი ცოდნა გამოგიყენებინათ ჩვენი სამშობლოს ფაბრიკა-ქარხნებსა და მინდვრებში შრომისათვის. ეს შესანიშნავი იქნებოდა ამხანაგებო. მაგრამ ამჟამად ეს შეუძლებელია. ჩვენი ეპოქის სიმკაცრე, კლასთა ბრძოლის ულმობელი კანონები და უწინარეს ყოვლისა ის, რომ, იმპერიალიზმი ისწრაფვის დაჩაგროს, დაიმონოს ხალხები და გაიჩაღოს ომები, ყველა ჩვენგანისაგან, ისევე როგორც მშვიდობის, სოციალიზმის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ხალხისაგან, მოითხოვს, რომ ხალხის ნაწილმა, თანაც ყველაზე აქტიურმა და ძლიერმა, თავისი შრომა, თავისი გონება, თავისი ნიჭი, მთელი თავისი ცხოვრება მოახმაროს სამხედრო ხელოვნებას, ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული დაცვის საქმეს.

მოგეხსენებათ, რომ თქვენი ძმები, მეგობრები და ამხანაგები — მუშები, გლეხები და ჩვენი ინტელიგენციაც ყველფერს აკეთებენ, რომ არა მარტო თქვენი მაგივრობა გასწიონ სამოქალაქო შრომაში, არამედ ისწრაფვიან თავიანთი შრომითი საგმირო საქმეებით, წარმატებებით მეცნიერებასა და ტექნიკაში განამტკიცონ ხალხის მიერ თქვენთვის მონდობილი შეიარაღებული ძალების ძლიერება, აღაფრთოვანონ საბჭოთა არმიის მეომრები იმისათვის, რათა უნარიანად და თავგანწირვით, თვალის ჩინვით იცავდნენ სამშობლოს, საბჭოთა ხალხის ბედნიერებასა და თვაგონებულ შრომას.

კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში ჩვენი სჯქმეების შესახებ ამას წინათ ბევრი რამ ითქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს. როგორც იცით, ყრილობამ მიიღო ახალი ხუთწლედისათვის კომუნისტური მშენებლობის სამუშაოთა დიდი და ამასთანავე რეალური პროგრამა. კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხალხმა. ამას დამაჯერებლად მოწმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელი არჩევნების შედეგები. მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, რომელიც წინ უძღოდა არჩევნების დღეს, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა ერთსულოვანი ხმის მიცემა — ყოველივე ეს მკაფიოდ გამოხატავს იმას, რომ საბჭოთა ხალხი მონოლითურად არის შეკავშირებული თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო, მოწმობს, რომ პარტიის პოლიტიკა ღრმად ასახავს ხალხის მოთხოვნილებებს, მის აზრებსა და მისწრაფებებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ყველგან — ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში, ყველა ოლქში, მხარესა თუ რესპუბლიკაში საბჭოთა ადამიანები ხალისით, გულდაჯერებით, მშვიდად და ამასთან დიდი ენერგიით შრომობენ კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული დიადი გეგმების განხორციელებისათვის.

ჩვენმა მრეწველობამ მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. მან 8 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. გაიზარდა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა. თუმცა, რამდენადმე ჩამორჩება ამ ნახევარწლედის საგეგმო დავალებს კაპიტალური მშენებლობა, განსაკუთრებით ძირითადი ფონდების ამოქმედება. ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა გამოასწორონ მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა და მიაღწიონ იმას, რომ შესრულდეს სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარე წლის გეგმები.

სოფლის მეურნეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის შემდეგ მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის შარშანდელი საწარმოო და სამეურნეო შედეგები არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად მრავალი მაჩვენებლის მიხედვით და უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობის მაჩვენებლებით ყველა წინა წლებში მოპოვებულ შედეგებზე უკეთესი იყო. ყველა საფუძველი გვაქვს, მივიჩნიოთ რომ სოფლის მეურნეობის 1965 წლის შედეგები დამაჯარებელი დადასტურებაა სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ეკონომიური პოლიტიკის ღრმა ცხოვრებისეული ძალისა, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა.

მეტად გულმოდგინედ და კარგი შედეგებით დაიწყეს ეს წელიც სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქცია. მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შესრულდა.

ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი იწყებენ მარცვლეული კულტურების, ბოსტნეულისა და ხილის მოსავლის აღებას. კარგი მოსავალია ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინასა და მოლდავეთში. ხელსაყრელ პირობებში ვითარდება ნათესები ურალში, ციმბირში და ყაზახეთში. რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია ვაკეთოთ საბოლოო პროგნოზები, მაგრამ საქმე ისე მიდის, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომა და ენერგია გაამართლებს მათს იმედებს და ვარაუდებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა საშინაო საქმეებთან ერთად ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. მთლიანად საერთაშორისო ვითარება კვლავ დაძაბულია, უმთავრესად ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების გამო.

ვიეტნამის ამბებმა მიიპყრო ყურადღება ყველა ხალხის, ყველა სახელმწიფოსა და მთავრობისა, რომლებიც მსოფლიოს ბედისათვის ზრუნავენ. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები კიდევ უფრო აფართოებენ ომს ვიეტნამში.

მთელი რიგი დამარცხებებითა და წარუმატებლობით გაბოროტებულმა ამერიკელმა აგრესორებმა, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ იმპერიალისტურ კურსს, ამ დღეებში ჩაიდინეს ახალი უმძიმესი ბოროტმოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ, ბარბაროსულად დაბომბეს ქალაქ ჰანოისა და ნავსადგურ ჰაიფონის გარეუბნები, ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელი რიგი კაშხალები და ჯებირები.

ამრიგად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ადის ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომის „ესკალაციის“ დანაშაულებრივი პოლიტიკის ახალ, კიდევ უფრო საშიშ საფეხურზე. ამერიკის იმპერიალიზმის ამ მოქმედებამ კიდევ ერთხელ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იქცევიან, როგორც მსოფლიო ჟანდარმი.

ამერიკის იმპერიალიზმის ახალმა ყაჩაღურმა აქტებმა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. შეერთებული შტატების ახლო მოკავშირენიც კი ეშიჯნებიან დანაშაულს, რომელიც ამერიკის სამხედრო ხროვამ ჩაიდინა. ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი არასოდეს არ დაცემულა ისე, როგორც ახლა.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, ბოლოს და ბოლოს სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ, თუ რა მოჰყვება მათს პოლიტიკას. უნდა აწონ-დაწონონ ყველა შედეგი ვიეტნამში თავიანთი ავანტიურისტული კურსისა, რომელსაც შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი მიიყვანოს სერიოზული განსაცდელის პირას. ასეთი პოლიტიკის განხორციელებისას ადვილად შეიძლება ფეხი დაგიცდეს. შესაძლოა, რომ ფინალი სულაც არ იყოს ისეთი, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ.

გამოხატავს რა ხალხის ნებას, საბჭოთა მთავრობამ გუშინ გააკეთა განცხადება [illegible], რომ ამერიკელ აგრესორებმა ბარბაროსულად დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ობიექტები. დღესაც ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება გმირ ვიეტნამს, დაეხმარება დაიცვას თავისუფლება და განდევნოს დამპყრობლები თავისი მიწა-წყლიდან. ჩვენ საჭირო დასკვნები გამოგვაქვს ამერიკის იმპერიალიზმის უკანასკნელი დანაშაულობებიდან. ჩვენი დახმარება სულ უფრო გაიზრდება. საბჭოთა კავშირი არასოდეს არ დატოვებს გასაჭირში მომმე ვიეტნამელ ხალხს! ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს! **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ გვინდა განგიცხადოთ, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მყარია და გახუხრელად მტკიცდება, ეს კი მთავარია. **(მქუხარე ტაში).** ჩვენი საგარეო პოლიტიკა ჯანსაღი, პატიოსანი და ყველა ხალხისათვის გასაგებია. მას მიესალმება და მხარს უჭერს მსოფლიოს სახელმწიფოთა და ხალხთა აბსოლუტური უმრავლესობა.

საერთაშორისო ცხოვრების ბოლო მოვლენებიდან, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს სახელმწიფოსთან და ჩვენი აზრით, შეუძლიათ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ბევრი მწვავე საერთაშორისო პრობლემის, განსაკუთრებით ევროპის უშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაში, მინდა აღვნიშნო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ შარლ დე გოლის მეგობრული ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ახლახან დამთავრდა.

ეს ვიზიტი იყო დიდმნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში. ჩვენი აზრით, საფრანგეთის პრეზიდენტთან გულწრფელი და მეგობრული საუბრები, ურთიერთ თანხმობა განვაგრძოთ პოლიტიკური კონტაქტები და კონსულტაციები, ხელს შეუწყობს ევროპის პოლიტიკური ატმოსფეროს საერთო გაუმჯობესებას, ევროპის სახელმწიფოთა ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას. ეს უეჭველია, შეესაბამება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

საერთაშორისო პოლიტიკის მთელ რიგ დიდ საკითხებზე, რომლებიც ეხება როგორც ევროპას, ისე მსოფლიოს სხვა რაიონებსაც, სადაც ახლა დაძაბულობის კერებია, საბჭოთა მთავრობამ, საფრანგეთის პრეზიდენტმა და საფრანგეთის მთავრობამ ბევრი საერთო აზრი გამოთქვეს. ჩვენ ეს აგრეთვე დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია. საფრანგეთის მხარემ განაცხადა, რომ მზად არის კიდევ უფრო გააფართოოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთობის ნორმალიზაციას. ეს ემთხვევა ჩვენს მტკიცე განზრახვებს.

მინდა კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან შარლ დე გოლთან მოლაპარაკების შედეგებსა და საფრანგეთთან ჩვენი ურთიერთობის კარგ განვითარებას მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენ გფიქრობთ, რომ ამას ფრანგი ხალხიც მოიწონებს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზნები უაღრესად ნათლად განსაზღვრა სკკპ XXIII ყრილობამ. ჩვენს წმიდათა წმიდა მოვალეობად მიგვაჩნია ყოველივე ვიღონოთ იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს დაიწყონ ახალი სისხლისმღვრელი მსოფლიო ომი.

იმ პირობებში, როცა იმპერიალისტები დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე რაიონში აწყობენ სამხედრო პროვოკაციებს, უაღრესად საჭიროა კიდევ უფრო განვავითაროთ და სრულყოთ სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა თავდაცვის საქმეში, შრომითს ძმობას მივუმატოთ საბრძოლო ძმობა. არა მარტო ჩვენს მეგობრებს, არამედ ჩვენს მტრებსაც კი შესანიშნავად ესმით, რომ მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობა, მათი მატერიალური და სამხედრო ძლიერება მთავარი დაბრკოლებაა იმპერიალიზმის რეაქციული ზრახვების განხორციელების გზაზე, თანამედროვე საზოგადოების პროგრესის მთავარი ბურჯია.

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ წლევანდელი კურსდამთავრებულნი, ისევე როგორც მათი წინამორბედნი სწავლაში, მთელ ძალღონეს, ცოდნას, ენერგიას და გულს მგზნებარებას არ დაიშურებენ, რათა განამტკიცონ შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება. ხოლო თუ მათ წილად ხვდათ მძიმე განსაცდელი, პირნათლად მოიხდიან თავიანთ წმიდათა წმიდა მხედრულ ვალს ჩვენი სამშობლოს წინაშე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცოთ სწავლის დამთავრება და გისურვოთ დიდი წარმატებანი სამშობლოს წინაშე წმიდათა წმიდა მოვალეობის შესრულებაში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს და დიდ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინის პარტიას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

• • •

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ნაწილის შემდეგ დარბაზობის მონაწილენი გადავიდნენ გიორგის დარბაზსა და წახნაგოვან პალატაში. შეხვედრა გრძელდებოდა სადღესასწაულო სუფრასთან. სამხედრო აკადემიათა კურსდამთავრებულებს მიესალმნენ და დიდი წარმატებანი უსურვეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, აგრეთვე მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ. (საკდესი).

შარლ დე გოლი სსრ კავშირში

30 ᲘᲕᲜᲘᲡ დილით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი ეწვია ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის წითელდროშოვან სუგოროვის ორდენოსან მოტომსროლელ დივიზიას. პრეზიდენტს ახლდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ვ. ზორინი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

ჯარის ნაწილში გენერალ დე გოლს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. პ. ბელობოროდოვი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მ. ს. მასლოვი, სხვა გენერლები და ოფიცრები.

დივიზიის განლაგების ადგილას იყო აგრეთვე საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც პრეზიდენტის საბჭოთა კავშირში მოგზაურობას აშუქებენ.

საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურის მისვლასთან დაკავშირებით ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. დივიზიის მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-მაიორმა ი. ი. ტენიშჩევმა სოხოვა გენერალ შარლ დე გოლს დასწრებოდა მოტომსროლელი ბატალიონის ტაქტიკურ მეცადინეობას, ბატალიონის ტანკების, არტილერიის, სარაკეტო დანადგარების ქვეგანაყოფებთან თანამოქმედების დროს.

„საბრძოლო“ ოპერაციები რომ ნახა, გენერალმა დე გოლმა აღნიშნა: „თითქოს ოცი წლით გავახალგაზრდავდი“.

როცა მეცადინეობა დამთავრდა და ტანკისტთა ერთ-ერთი ქვეგანაყოფი ქვეითი ჯარის მებრძოლებთან ერთად ჩამწკრივდა სათვალთვალო პუნქტის წინ, გენერალმა შარლ დე გოლმა მიმართა საბჭოთა მეომრებს და თქვა, რომ მოხარული ვიყავ ნახულმოს ბატალიონს. „ქვეითი ჯარი, ტანკები, არტილერია, რაკეტები — ყველაფერი, რაც ვნახე, ძალიან საინტერესო იყო. მადლობელი ვარ იმისათვის, რაც მაჩვენეთ“. საფრანგეთის არმიის სახელით გენერალი დე გოლი მიესალმა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს.

დივიზიაში საფრანგეთის პრეზიდენტის გენერალ შარლ დე გოლის პატივსაცემად გაიმართა საუზმე, რომელზეც მან მოკლე სიტყვა წარმოთქვა, შარლ დე გოლმა აღნიშნა, რომ რუსეთის არმიამ სახელი გაითქვა მრავალი საუკუნის ჯანძილზე. ჩვენს შორის არსებობს თანამშრომლობა, თქვა დე გოლმა, რაც დადასტურდა ორი მსოფლიო ომის გამოცდილებით. ახლა მეგობრები ვართ. შარლ დე გოლმა აღდეგრძელა საფრანგეთის არმიისა და საბჭოთა არმიის მეგობრობა.

გვარდიელთა სახელით გენერალ-მაიორმა ი. ი. ტენიშჩევმა პრეზიდენტს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — საბჭოთა ტანკის მოდელი, რომელიც მეომრებს გაუკეთებიათ. გენერალმა შარლ დე გოლმა ჩანაწერი დატოვა საპატიო სტუმართა წიგნში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 30 ივნისი. დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში დარბაზობა გამართეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ შარლ დე გოლის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ საფრანგეთის ოფიციალური პირნი, რომლებიც პრეზიდენტს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სხვები.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საფრანგეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დაწყებამდე შესრულდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

ᲓᲔ ᲒᲝᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 1 ივლისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი.

საფრანგეთის და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბა მშრომელთა ბევრი წარმომადგენელი. აქ მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ასკენდეროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები. შესრულდა საფრანგეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები, იგრიალა ერთა სალუტის 21 საარტილერიო ზალპმა.

ნ. ვ. პოდგორნიმ და შარლ დე გოლმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

შეკრებილებმა გენერალ შარლ დე გოლსა და მის თანმხლებ პირებს უსურვეს ჯანმრთელობა და გზა მშვიდობისა.

◆

ᲓᲔ ᲒᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირში ვიზიტის შემდე

• 2 ივლისი კოოპერაციის საერთაშორისო დღეა

სამომხმარებლო კოოპერაცია — ხალხის სამსახურში

ყოველწლიურად, ივლისის პირველ შაბათს, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. წელს ეს ისტორიული თარიღი ორმოცდამეოთხედ აღინიშნება.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ეს მოძრაობა ძირითადად ევროპის ქვეყნების მცირე ჯგუფს მოიცავდა. მეფის რუსეთში კოოპერაციული ორგანიზაციები აღმოცენდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში. საქართველოში კი კოოპერაციული მოძრაობა ცოტა უფრო მოგვიანებით — იმავე საუკუნის 75-80-იან წლებში დაიწყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და მუდმივი მზრუნველობით, საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია გახდა უაღრესად მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ახლა თავის რიგებში 46 მილიონზე მეტს მეპაიეს თვლის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თვალსაჩინოდ გაფართოდა სამომხმარებლო კოოპერაცია ჩვენს რესპუბლიკაშიც. მისმა მეპაიეთა რიცხვმა უკვე ერთ მილიონს გადაჭარბა.

დღეს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს ქვეყანაში. ამაზე ნათლად მეტყველებენ ციფრები, რომელიც ბოლო ექვსი წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.

კოოპერაციის 44-ე საერთაშორისო დღეს ემთხვევა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობა, რომელიც მუშაობას შეუდგება ორი დღის შემდეგ — 5 ივლისს. ყრილობა შეაჯამებს სოფლად ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის ცეკავშირის გამგეობის მიერ 1962 წლიდან დღემდე გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ ამოცანებს შემდგომი მუშაობისათვის.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარებისა და საქონლის მიმოქცევის სფეროში სამომხმარებლო კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა. მისი ხედრითი წონა საერთო საქონელბრუნვაში გადიდდა და ამჟამად 30,1 პროცენტს შეადგენს. ცეკავშირი თავისი საგაჭრო ქსელით მომსახურებას უწევს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქსა და სოფლს შორის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ვაჭრობა სამომხმარებლო კოოპერაციის მთავარი და წამყვანი დარგია. ამიტომ იყო, რომ ვაჭრობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის, აგრეთვე კოოპერაციის უმაღლესი ორგანოების გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლამ, რაც მეპაიეთა ფართო მასებზე დაყრდნობით ხორციელდებოდა, თავისი დადებითი შედეგი გამოიღო, საშუალება მოგვცა უზრუნველგვყო სოფლად საქონელბრუნვის განვითარების მაღალი ტემპები, გადაჭარბებით შეგვასრულებინა გასული შვიდწლიანი გეგმის დავალებანი.

განსაკუთრებით მაღალი ტემპებით განავითარეს საქონელბრუნვა და გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი წლის გეგმები ახალციხის, გარდაბნის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის და სხვა კოოპერაციებმა. თვალსაჩინო მიღწევები აქვთ აგრეთვე ონის, ცაგერის, ლენტეხის, ახმეტის, თიანეთის რაიონების და სხვა კოოპერაციებს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ წარმატებით დაიწყო მიმდინარე ხუთწლედის პირველი წელიც. სისტემამ პირნათლად შეასრულა ვალდებულებები, რომლებიც ნაკისრი აქვნდა პარტიის XXIII ყრილობის მოწვეევასთან დაკავშირებით. საქონელბრუნვის მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა შესრულებულია 103,3 პროცენტით, მათ შორის საცალო ვაჭრობაში — 103,4 და საზოგადოებრივ კვებაში 102,6 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მიეყიდა 5,8 მილიონი მანეთის სხვადასხვა სამრეწველო და სასურსათო საქონელი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა გადიდდა 18.300 ათასი მანეთით, ანუ 11,5 პროცენტით; სისტემის კოოპორგანიზაციების საერთო რაოდენობის 85,7 პროცენტმა გადაჭარბებით შეასრულა საქონელბრუნვის ხუთი თვის გეგმები, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალი ხუთწლედის პირველი სამეურნეო წლის გეგმების შესრულების უზრუნველყოფას.

ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 1961 წელთან შედარებით შარშან სასურსათო საქონლის რეალიზაცია გაიზარდა 34,2 პროცენტით, ხოლო სამრეწველო საქონლისა 14,9 პროცენტით. საყურადღებოა ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში სასურსათო საქონლის გაყიდვა გაიზარდა: ერმო-კარაქისა — 2,1-ჯერ, მცვნარეული ზეთისა — 1,7, რძისა და რძის პროდუქტებისა — 1,1, კონსერვებისა — 2,2, შაქრისა — 1,7, საკონდიტრო ნაწარმისა — 1,5, ბურღულეულისა — 1,4, პურფუნთუშეულისა — 1,6 და ა. შ.

გარკვეული ცვლილებები მოხდა სამრეწველო საქონლის მოხმარების სტრუქტურაშიც. შეკერილი ნაწარმის გაყიდვა გაიზარდა — 1,2-ჯერ, ტრიკოტაჟისა — 1,7, წინდისა — 1,7, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,3, ავეჯისა — 1,7, ელექტროსაქონლისა — 1,8, რადიოსაქონლისა — 2, ტელევიზორების — 2,4, მუსიკალური საქონლისა — 1,5-ჯერ და სხვ.

სამრეწველო საქონელი შეიძლებოდა გაცილებით მეტი გაყიდულიყო, ზოგიერთი მაღაზიის რესურსები საკმაო რომ ყოფილიყო (ელექტროსაქონელი, ტელევიზორები, საშები მასალები, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი), ხოლო ნაწილის ასორტიმენტი და ხარისხი მოსახლეობის მოთხოვნილებას უპასუხებდეს. სამწუხაროდ, თუმცა მრეწველობამ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწია, მაგრამ მაინც დღემდე მის მიერ გამოშვებული სამრეწველო საქონლის ნაწილი ჯგუფებისა (ფეხსაცმელი, შეკერილი ნაწარმი, ტრიკოტაჟი, ავეჯი და სხვ.) თავისი ასორტიმენტითა და ხარისხით, ბრეზვის სტრუქტურით, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ჩვენი მყიდველის მზარდ გემოვნებასა და მოთხოვნილებას.

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა და თანამედროვე ეტაპზე ვაჭრობის კონიუნქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკვე წელს და მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნილება სამრეწველო საქონლის ცალკეულ ჯგუფებზე, განსაკუთრებით შეკერილ ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, საშენ მასალაზე, ავეჯზე, სამეურნეო და კულტურული დანიშნულების საქონელზე, და ასი რეალიზაციის დონე დამოკიდებული იქნება არა მარტო მოსახლეობის მყიდველობით უნარზე, არამედ ამ საქონლის ასორტიმენტზე, მის ხარისხზე, მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად, საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება საქონლის რესურსების ფორმირებისას სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

თვალსაჩინოდ გაფართოვდა საცალო სავაჭრო ქსელი. მან 1966 წელს 1 იანვრისათვის 6.799 ერთეულს მიაღწია 9.729 სამუშაო ადგილით. საანგარიშო პერიოდში საცალო ქსელის განვითარების გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული. საცალო სავაჭრო ქსელი გაიზარდა 899 ერთეულით, ანუ 23 პროცენტით.

სოფლად სულ უფრო ფართოდ ინერგება ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმები. ამჟამად ჩვენს სავაჭრო ქსელში არის მრავალი ათეული თვითმმომსახურების, საქონლის ღია გამოფენით ვაჭრობის მაღაზიები, სექციები, უგამყიდველო ფარდულები და სხვ. გრძელდება სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია, სადაც ეს გამართლებულია ეკონომიურად და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით. კოოპერაციის მილიონნახევრიანი არმიის, მათს ოჯახების და სხვა მომმაზრებლებს ემსახურება ვაჭრობის სპეციალიზებული ქსელი: 848 სასურსათო მაღაზია, 146 პურფუნთუშეულით მოვაჭრე, გალანტერია-პარფიუმერიით — 18, კულტსაქონლით — 88, წიგნით — 89, სამეურნეო საქონლით — 206, ქსოვილებით — 18, შეკერილი ნაწარმით — 20, ფეხსაცმლით — 22, ავეჯით მოვაჭრე — 36 მაღაზია და სხვ.

საქეყნოდ ცნობილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა სასახელო საქმეები. ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი განთქმული, შრომისმოყვარე ფერმერებითა და მევენახეებით, მეხილეებითა და მემინდვრეებით, სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანებით. სწორედ მათი თავდადებული შრომით მოპოვებული წარმატებების შედეგი იყო, რომ ჩვენმა მზიურმა რესპუბლიკამ მეორეჯერ მოიპოვა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

საქართველოს კოოპერატორებს დიდად საპატიოდ მიაჩნიათ, რომ პარტიის მიერ მათ დაკისრებული აქვთ სოფლის მშრომელთა სავაჭრო მომსახურება. ისინიც ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ამ საპატიო დავალების შესასრულებლად. აი ორიოდე ციფრი ამის ნათელსაყოფად: საანგარიშო პერიოდში ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ გამოშვებული და რეალიზებულია 247 მილიონი კერძი. აქედან პლატაციებსა და სასოფლო-სამეურნეო ადგილებში დატარებითი ვაჭრობით და სავეზე სასადილოების მეშვეობით რეალიზებულ იქნა 9,6 მილიონი ცალი კერძი და 2,1 მილიონი მანეთის სხვა სასურსათო საქონელი. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, მახარაძის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გეგეჭკორის, წყალტუბოს, ახალციხის, სიღნაღის, წითელწყაროს და სხვა რაიონების კოოპერატორებმა.

ეს მუშაობა, მიმდინარე წელს კიდევ მეტი ძალით გაგრძელდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-შესყიდვის მოცულობა საანგარიშო პერიოდში 131 მილიონ მანეთით გაიზარდა, რაც 221 მილიონი მანეთით აღემატება წინა ოთხი წლის მოცულობას. გასულ წელს დამზადებისა და შესყიდვის ყველა სახის გეგმები სისტემამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

თვალსაჩინოდ გაიზარდა სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებრივი როლი, განმტკიცდა კოოპერაციული დემოკრატია; მეპაიეები ახლა სულ უფრო მეტ აქტივობას იჩენენ კოოპერაციული ცხოვრების ყველა დარგში. გაუმჯობესდა კოოპერაციის ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა, დღითიდღე მატულობს ახალგაზრდა სპეციალისტთა და ქალთა რიცხვი კოოპერაციულ საქმეშიც.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის აქტიურად მონაწილეობს საგარეო საკვაჭრო ურთიერთობაშიც თავისი საბითუმო ვაჭრობისა და საექსპორტო ოპერაციების კანტორის საშუალებით. სულ უფრო ფართოვდება ჩვენი ურთიერთკავშირი სოციალისტური ბანკიტ ქვეყნებთან, აგრეთვე ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის (ინგლისი, იტალია, იაპონია, ფინეთი და სხვ.) კოოპერაციულ ორგანიზაციებთან.

საქართველოს კოოპერატორები, რომლებიც მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებებიან კოოპერაციის საერთაშორისო დღეს და თავიანთ XV ყრილობას, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები, სამომხმარებლო კოოპერაცია მთელი თავისი განმტკიცებული ქსელით მაქსიმალურად ჩაიბან ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, ამით თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდ საქმეში.

ნ. ჯავახიძე,
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

საერთაშორისო ცხოვრება

ვანკუვერი, 1 ივლისი.

საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. მელიქიანი იუწყება:

საბჭოთა პარლამენტის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მეთაურობით, რომელიც კანადაში იმყოფება საპასუხო ოფიციალურ ვიზიტად, ჩამოვიდა ვანკუვერში (ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინცია). საბჭოთა სტუმრები ეწვივნენ რძის გადასამუშავებელ ქარხანას, რომელიც ვანკუვერის მახლობლად მდებარეობს.

საბჭოთა პარლამენტარებმა დაათვალიერეს აგრეთვე ქალაქ კლოვერდეილის მსხვილი მეფრინველობის ფერმა და კომბინირებული საკვების ქარხანა, ქალაქ ებოტსფორდის მეფრინველეობის ფერმა, სუმასის მერძევეობის ფერმა და მილნერ-ლენგლის ოლქის მეცხოველეობის ცენტრი.

კორესპონდენტთა კითხვებზე პირველ შეთბეჭდილებათა შესახებ კანადაში მოგზაურობის შესახებ, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა დ. ს. პოლიანსკიმ უპასუხა, რომ დელეგაციის წევრებს დარჩათ უაღრესად კარგი შთაბეჭდილებანი. კანადის ხალხმა და ხელმძღვანელებმა, თქვა მან შემდეგ, დიდი ყურადღება და გულწრფელი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და მთელი ჩვენი დელეგაციის სახელით მადლობას ვუხდი მათ.

ერაყის ამბები

ქაირო, 30 ივნისი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად ერაყში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, ბაღდადის რადიოთი, რომელიც ხელთ იგდო არმიის ქვეგანაყოფმა, გადასცეს რევოლუციური სბჭოს მიმართვა მთავრობისადმი, რომ დანებებულიყო „შემდგომი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად“.

მთელ ერაყში შემოღებულია კომენდანტის საათი და დაიხურა აეროპორტები.

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). ერაყის პრეზიდენტმა არეფმა დღეს ბაღდადის რადიოთი განაცხადა, „ავანტიურისტთა ჯგუფის ცდა სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა, მარცხით დამთავრდაო“.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბეირუთელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბაღდადის რადიომ აგრეთვე გამოაცხადა: მთავრობის ერთგულმა ჯარებმა „შეელ ერაყში წესრიგი აღადგინესო“.

კაირო, 30 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. დუგანოვი იუწყება:

როგორც მენის სააგენტო იტყობინება, ერაყში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ 18 საათზე გრინვიჩის დროით (16.00 მოსკოვის დროით) ერაყის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული განკარგულების გაცემამდე შემოღებულია კომენდანტის საათი.

ბაღდადის რადიომ გამოაქვეყნა მეოთხე ბატალიონის მეთაურის ბრძანება, რომელიც ახორციელებს მოსულის აეროპორტის დაცვას, ამ აეროპორტის, აგრეთვე ჰაბანიის აეროდრომის დახურვის შესახებ.

მენის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, რომ ერაყში შექმნილია რევოლუციური საბჭოს ეროვნული ხელმძღვანელობა, რომელმაც პრეზიდენტ არეფს მოუწოდა შეწყვიტოს წინააღმდეგობა, რათა თავიდან აიცილონ სისხლისღვრა.

ბაღდადის რადიომ გადასცა რევოლუციური საბჭოს ბრძანება ერაყის ყველა აეროპორტის დახურვის შესახებ.

რევოლუციური საბჭოს ერთ-ერთ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ ყველა ჯარის ნაწილი და შენაერთი უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ რევოლუციური საბჭოს ეროვნული ხელმძღვანელობის ბრძანებებს.

აპირო, 1 ივლისი. (საკდესი). ბაღდადსა და მის გარეუბნებში შემოიღეს კომენდანტის საათი 20 საათიდან ღამის სამ საათამდე გრინვიჩის დროით. ეს გადმოსცა ბაღდადის რადიომ, იუწყება მენის საგენტო.

ლ. ჯონსონის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი, რომელიც დღეს გაეგზავნა დე-მოინში (აიოვის შტატი), სადაც სიტყვას წარმოთქვამს დემოკრატიული პარტიის ფონდისათვის სახსრების შეგროვების გამო გამართულ ბანკეტზე, გზად ჩაიცილა ქალაქ ომაჰაში (ნებრასკის შტატი) და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ძირითადად მიეძღვნა ამერიკის მთავრობის პოლიტიკას.

პანოისა და ჰაიფონის გარეუბნების საჰაერო დაბომბვის შემდეგ პრეზიდენტმა პირველად გამოვიდა საჯაროდ. მან განაცხადა, რომ ეს თავდასხმები გაგრძელდება. მან კვლავ ბრალად დასდო კომუნისტებს აგრესია სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

ჯონსონმა ქება-დიდება შეასხა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს — სამხრეთ კორეას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და ფილიპინებს იმისათვის, რომ თავიანთი ქვეიანაყოფები გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში.

ინდოეთელი სტუმრები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა იაპონიის სოციალისტური პარტიის თვალსაჩინო მეცნიერთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პროფესორი კ. კატო. დელეგაცია სსრ კავშირში იმყოფება „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების-მოწვეევით საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირსა და იაპონიის სოციალისტურ პარტიას შორის 1966 წლისათვის გათვალისწინებული კულტურული გაცვლის პროგრამის შესაბამისად.

1 ივლისს იაპონელ სტუმრებს მეხვედრა გაუმართეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. სტუმრებს მიესალმა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი. შეხვედრას დასწრნენ „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი თ. თეთრაძე და დოცენტი გ. მაჭარაშვილი.

დღეს იაპონის სოციალისტური პარტიის მეცნიერთა დელეგაცია მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. გაიმართა საუბარი, რომლის დროს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე დელეგაციის წევრებს ესაუბრა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შესახებ, გაეცნო უმაღლესი საბჭოს საქმიანობა.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მიქელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ლომიძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ფიფინტი, „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი. ბ. უგრინოვიჩი.

ნაშუადღევს იაპონელი მეცნიერები ეწვივნენ რუსთავს. (საკდესი).

ინდოეთელი სტუმრები

ინდოეთელ სტუმრებს

ინდოეთელ სტუმრებ

თანამშრომლობის ახალი ეტაპი

სსრ კავშირისა და საფრანგეთის შეთანხმება მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ შარლ დე გოლის ვიზიტისა და საბჭოთა ხელმძღვანელებთან მისი მოლაპარაკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია, განაცხადა საკდესის კორესპონდენტს ი. ბერსენევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. მ. გვიშიანმა.

ორივე მხარემ განსაზღვრა თანამშრომლობის მთავარი მიმართულებანი და პერსპექტივები მომავლისათვის. შეთანხმება იმ კეთილნაყოფიერი კონტაქტების გაგრძელებისა და განმტკიცების ახალი ეტაპის დასაწყისია, რომლებიც უკანასკნელ წლებში დამყარდა. დღეიდან სსრ კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკურ ურთიერთობაში მთავარი ყურადღება ექცევა ერთმანეთის ფართო გაცნობას. საფრანგეთის საქმიანი წრეები და საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დარგში, ერთდროულად აკვლევენ და სწავლობდნენ კონტაქტებს შესაძლებლობის ეკონომიკის, ეროვნულ რიგში, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. უკანასკნელი ორი — ორნახევარი წლის მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში პრაქტიკულად ყოველ კვირაში ეწყობოდა საბჭოთა და ფრანგი სპეციალისტების შეხვედრები და მოლაპარაკები. ჩვენ მივიღეთ საფრანგეთის რამდენიმე ასეული ტექნიკური დელეგაცია და ამდენივე ჩვენი დელეგაცია გავგზავნეთ საფრანგეთში, რათა გაცნობოდნენ მეურნეობის ჩვენთვის საინტერესო დარგების მიღწევებს, გაეზიარებინათ ჩვენი წარმატებანი.

ახლა მხარეები დარწმუნებული არიან, რომ არის ფართო შესაძლებლობა მეცნიერებისა და ტექნიკის სულ სხვადასხვა დარგში ეფექტიანი, და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. კარგად არის ცნობილი საფრანგეთის წარმატებანი ელექტრონიკის, რადიომრეწველობის, ქიმიის, მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების განვითარებაში. ცხადია აგრეთვე, რომ საფრანგეთის მეცნიერებისათვის, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისათვის, დიდ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი მიღწევა. საკმარისია გავიხსენოთ სსრ კავშირის წარმატებანი კოსმოსური სივრცის ათვისებაში, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების დარგში. მხარეების ღონისძიებათა გაერთიანება იმისათვის, რომ აწარმოონ ფუნდამენტალური თეორიული კვლევა, წარმებაში დანერგონ ახალი მეცნიერული აღმოჩენები და თანამედროვე ტექნოლოგია, უზრუნველყოფს დროისა და ძალების უდიდეს ეკონომიას ეკონომიური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ბრძოლაში.

ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს საფრანგეთის ბევრ ფირმასთან და საკვლევ ცენტრთან. აეიოლთ ფაბრთოდ ცხობილი მაგალითია: თანამშრომლობა „ცსფ“ და „ცფტ“ ფირმებთან. საბჭოთა და ფრანგი სპეციალისტები აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ფეიადი ტელევიზიის ერთობლივი სისტემის შემუშავებაში „სეკამის“ ბაზაზე, რაც უახლოეს ხანში დაიხერგება ორივე ქვეყანაში.

ამას წინათ ხელი მოაწერეს ოქმს საფრანგეთის ნავთობის ინსტიტუტთან თანამშრომლობის შესახებ იზოპრენის წარმოებისა და შლახგ-კაბელის საშუალებით ნავთობის ბაზებიდან ბურღვის დარგში. ახლა წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკება და უახლოეს ხანში ხელს მოაწერენ ოქმს „ბიწოს“ ფირმასთან თანამშრომლობის შესახებ მსუბუქი ავტომობილების წარმოების, კერძოდ, მთელი რიგი საბჭოთა საავტომობილო ქარხნების რეკონსტრუქციის დარგში. მიღწეულია შეთანხმება გამოცდილების გაზიარების გაფართოების შესახებ სარკინიგზო ტრანსპორტის, ნავთობგადამუშავების, გამოთვლითი ტექნიკისა და საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა წარმოების დარგში და სხვ.

თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს სხვადასხვა გამოგონებისა და ტექნოლოგიური პროცესის ლიცენზიების, პატენტების გაცვლა. ძველი რიგი საწარმოო პროცესები, რომლებიც საბჭოთა სპეციალისტებმა შეიმუშავეს, წარმატებით გამოიყენება საფრანგეთის მეურეველობაში. მაგალითად სამრეწველო ფორმებმა საბჭოთა კავშირისაგან შეიძინეს ფოლადის ეუფყეტი ჩამოსხმის დანადგარის ლიცენზია. შემდგომ მნიშვნელოვნად გაფართოვდება აგრეთვე ერთობლივი სამეცნიერო-საკოსტრუქტორო სამუშაოები.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის წინაშე ისახება ფართო პერსპექტივები მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, რადგან ეს თანამშრომლობა ვითარდება ურთიერთხელსაყრელ პირობებში და ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის პროგრესს. ამის შესახებ კარგად თქვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ცომბირის სამეცნიერო ცენტრის — აკადემიური ქალაქის დათვალიერების დროს: „ახლა ორივე ტუსეთი და საფრანგეთი ერთიანდებიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, დაე საბჭოთა და ფრანგული მეცნიერებანიც გაერთიანდნენ ადამიანთა პროგრესისათვის.“

კომუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი, 2 ივლისი, 1966 წ.

კუე დე მიურვილის განცხადება

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). შეიქმნას დაძაბულობის შენელების ატმოსფერო— ესაა გენერალ დე გოლის საბჭოთა კავშირში ჩასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მორის კუე დე მიურვილმა საფრანგეთის სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში. ამით გამოკლინდა პოლიტიკა, რომელსაც ეი უკვე რამოდენიმე ხანია ახორციელებს საფრანგეთი და ახლოდან ასეთ პოლიტიკას შეუძლია გადაგვაჭრეგიოს ევროპის პრობლემები.

ჩვენ .მოველაპარაკეთ საბჭოთა მთავრობას, განაგრძო კუე დე მიურვილმა, რომ მომავალში რეგულარულად მოვაწყობთ კონსულტაციებს ორ მთავრობას შორის საინტერესო საკითხებზე, რათა შეძლებისდაგვარად შევათანხმოთ პოზიციები.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ვიეტნამის დროს ძირითადად იხილავდნენ ევროპის საკითხებს და პირველ რიგში გერმანიის პრობლემებს. ფონანგებმა და ოუენებმა, ხაზგასმით აღნიშნა მან, საერთო დასკვნა გამოიტანეს, რომ ევროპის პრობლემათა განხილვა და ცხადია მომავალი გადაჭრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ახალ ატმოსფეროში — დაძაბულობის შენელების ატმოსფეროში, რომელიც უნდა შევქმნათ.

კუე დე მიურვილმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირში უაღრესად გულთბილად შეხვდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საბჭოთა პარლამენტის დელეგაცია კანადაში

ვანკუვერი, 1 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. მელიქიანი იუწყება:

საბჭოთა პარლამენტის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მეთაურობით, რომელიც კანადაში იმყოფება საპასუხო ოფიციალურ ვიზიტად, ჩამოვიდა ვანკუვერში (ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინცია). საბჭოთა სტუმრები ეწვივნენ რძის გადასამუშავებელ ქარხანას, რომელიც ვანკუვერის მახლობლად მდებარეობს.

საბჭოთა პარლამენტარებმა დაათვალიერეს აგრეთვე ქალაქ კლოვერდეილის მსხვილი მეფრინველეობის ფერმა და კომბინირებული საკვების ქარხანა, ქალაქ ებოტსფორდის მეფრინველეობის ფერმა,

ლ. ჯონსონის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი, რომელიც დღეს გაეგზავნა დე-მოინში (აიოვის შტატი), სადაც სიტყვას წარმოთქვამს დემოკრატიული პარტიის ფონდისათვის სახსრების შეგროვების გამო გამართულ ბანკეტზე, გზად ჩაეცილა ქალაქ ომაჰაში (ნებრასკის შტატი) და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ძირითადად მიეძღვნა ამერიკის მთავრობის პოლიტიკას.

პანოისა და ჰაიფონის გარეუბნების საჰაერო დაბომბვის შემდეგ პრეზიდენტმა პირველად გამოვიდა საჯაროდ. მან განაცხადა, რომ ეს თავდასხმები გაგრძელდება. მან კვლავ ბრალად დასდო კომუნისტებს აგრესია სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

ჯონსონმა ქება-დიდება შეასხა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს — სამხრეთ კორეას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და ფილიპინებს იმისათვის, რომ თავიანთი ქვეიანაყოფები გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში.

საქართველოს მშრომელები გმობენ ამერიკელთა აგრესიას ვიეტნამში

იანკეებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!

დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის გულისწყრომასა და შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებენ აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამში.

თბილისის სპორტული ნაწარმის ფაბრიკის კოლექტივმა კიდევ ერთხელ გამოთქვა პროტესტი ამერიკის იმპერიალიზმის ბორტომქმედების წინააღმდეგ, რასაც იგი სჩადის ამ თავგასუფლებისმოყვარე ქვეყანაში.

სიტყვა ეძლევა კაპრონის საამქროს მკერავს ნ. რიეკოვას.

— გრძელდება ამერიკელთა თარეში ვიეტნამში, — თქვა მან — მათ ახალი დანაშაული ჩაიდინეს, კვლავ გამოიყენეს სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის წინააღმდეგ მომწამვლელი ნივთიერებანი, ბომბები დააყარეს პანოის, ბევრმა რიგითმა ამერიკელმა თითქმის არაფერი იცის ამერიკელი ვაი-მეომრების მხეცური მოქმედების შესახებ, მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა პატიოსანმა ადამიანმა რომ იცოდეს ყოველივე ეს, ისინი, ისევე როგორც ჩვენ, მოითხოვდნენ: ამერიკელებო, დაბრუნდით შინ!

— სამხრეთვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ბოლომდე, — განაცხადა ტრიკოტაჟის საამქროს მესოველმა ნ. ტარიმანაშვილმა. რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს ეს ომი, ხალხი უფრეველია, გაანადგურებს აგრესორ

ლიტერატურული ჯელოვნება

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲝᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲚᲘᲢᲕᲐᲨᲘ

გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ სულხან ნასიძის და სთხოვა მას თავისი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

<> <>

შარშან საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ ლიტველი კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლიტვური მუსიკის კვირეულში. 25 ივნისს ქართველი კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები საპასუხო შემოქმედებითი ვიზიტით ეწვევნენ ლიტველ თანამეგობრებს. ქართული მუსიკის კვირეულთან დაკავშირებით ლიტვაში მოეწყო აგრეთვე ქართული წიგნის კვირეული, რისთვისაც კოლეგებმა საგანგებოდ მიიწვიეს ქართველ მწერალთა და წიგნის გამომცემელთა ჯგუფი.

საქართველოში დაბრუნებისას ჩვენი ქართული კულტურის დღეებმა ლიტვაში, — განაცხადა მან, — დიდი წარმატებით ჩაიარა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართული მუსიკის დღეებთან დაკავშირებით ლიტვაში მოეწყო ქართული წიგნის კვირეული. ამ დღეებში ვილნიუსსა და ლიტვის სხვა ქალაქებში პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ლიტველებს აცნობდნენ თანამედროვე ქართული კულტურის მიღწევებს. წიგნის მაღაზიებში საგანგებოდ იყო გამოფენილი ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემული წიგნები. ვილნიუსის ერთ-ერთი უდიდესი კინოთეატრის „ვილნიუსის“ ფოიეში მოეწყო ქართული წიგნის გამოფენა. ლიტერატურულ საღამოებზე გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ სულხან ნასიძეს და სთხოვა მას თავისი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

<> <>

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲚᲘᲢᲕᲐᲨᲘ

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲘᲝᲕᲐᲜᲐ: ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ!

...თბილისო, მზის და ვარდების მხარეო... მღერის ბერძენი მომღერალი ᲘᲝᲕᲐᲜᲐ და უცბოური იერის ქართული თავისებურ ეშხს მატებს ამ შესანიშნავ სიმღერას, სიმღერას, რომელმაც მსოფლიო შემოიარა, ქართული ჰანგის სილამაზე უშორეს ქვეყნებში ჩაიტანა და სხვადასხვა ერების შვილთა გული დაიპყრო... „სად არის სხვაგან ასეთი ვარაზი...“, „უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა...“ ორკესტრის ბოლო აკორდი ტაშმა დაფარა. მაყურებელი ავანსცენისკენ დაიძრა. ყველანი თაიგულებს შორის სიმღერის ავტორი რევაზ ლაღიძეც გამოჩნდა და ᲘᲝᲕᲐᲜᲐს გულმხურვალედ მიეხალმა.

ასე დამთავრდა სპორტის სახახლეში ბერძენი მომღერლის იოვანას პირველი კონცერტი, რომელსაც თბილისელები კარგახანია სიხარულით ელოდნენ.

სტუმრმა განახლებული რეპერტუარი ჩამოგვიტანა. პირველივე სიმღერას — ბერძენი კომპოზიტორის მავრ მუსტაკისის „ოცნებას ზღვაზე“ რომანტიკულ სამყაროში მივყავართ. იოვანას სიმღერა პატარა ნოველის მოყოლას ჰგავს. შემდეგ იოვანა კოსტას კაპნისის „დიდ საიდუმლოებას“ მღერის. მას ცვლის კომპოზიტორ მენდიხის სიმღერა, რომელშიც მომღერალი ხუმრობით გადმოგვცემს ყურჩებისა და ბაღების მუდმივი თანამგზავრის „ნაყინით მოვაკრე“ კაცის მიწიერ ფიქრებსა და უბრალო ნატვრას.

ყველაზე დიდი მოწონება კ. კაპნისის სიმღერას „კაპტანს“ ხვდა. მომღერალმა ნავსადგურში გამოსული მოხუცი კაპტანი შესანიშნავად დაგვიხატა. კაპტანის თვალწინ ნაცნობი და მარად შორეული ზღვა გადაშლილა, მაგრამ მას ზღვაში გასვლა აღარ მოუწევს და ამ ტალღებს ნაპირს რომ აღწევს და შემდეგ შორს თვალუწვდენელ უსასრულობაში იკარგება, მოხუცი მეზღვაურის სევდა თან მიაქვს. ეს უკვე მომღერლის შემოქმედებაში ახალი, თბილისელთათვის უცხო სახეა.

თითქოს ამ რამდენიმე წელმა იოვანას ბოლო გასტროლების შემდეგ მომღერლის ცხოვრებას თავისებური დაღი დასვა. ჩვენ გვახსოვს მისი პირველი სტუმრობა, როცა სცენაზე სიცოცხლით სავსე გოგონა მღეროდა. მაშინ მისი ხელოვნებაც უფრო უდარდელი იყო... დღეს მის სიმღერაში მეტი აზრი და ფიქრია. ამიტომაც არის ალბათ, რომ წინა რეპერტუარიდან ნამღერ ბოშურ სიმღერებს ამჯერად შედარებით ნაკლები წარმატება ხვდა, ვიდრე იმავე „კაპიტანს“, რომელიც „ვოკალური ეფექტების“ ნაცვლად ადამიანური განცდებითა და ფიქრებით არის აღსავსე.

მაგრამ იოვანა გვხიბლავს, და მისი წარმატების საიდუმლოება მის გულწრფელობაშია. დრო გადის, ყოველი ადამიანი იცვლება, იოვანაც არ შეუშინდა ამ ცვლილების გადმოცემას და ამიტომაც ცვლაც დაიპყრო მსმენელი. და კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც მას როგორც ხელოვანს შესანიშნავად ახასიათებს — მან იმღერა თბილისელთათვის კარგად ცნობილი სიმღერა „ნატალი“, რომლის ავტორი ფრანგი კომპოზიტორი და შანსონიე ჟილბერკ ბეკოა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს სიმღერა იუგოსლავიელმა სიესტრადო მომღერალმა ჯორჯე მარიანოვიჩმა შეასრულა. მაგრამ იოვანამ „ნატალი“ თავისებურად გადმოსცა. ეს იყო სწორედ მისი და მხოლოდ მისი სიმღერა და არა ნამღერის გადამღერება.

როცა მომღერალს შესანიშნავი, ულამაზესი ტემბრის ხმა აქვს და ამასთან ერთად გულწრფელობა, აზრი და გრძნობაც თან სდევს, მისი სიმღერა მსმენელს გულში სწვდება. ამიტომ უყვარს თბილისს იოვანა.

ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ მომღერლის იოვანას პირველი კონცერტის ორგანიზაციამ მაყურებლის გულისწყრომა გამოიწვია. მესამე ზარის შემდეგ მთელი ნახევარი საათის განმავლობაში, პარტერის ცენტრალური შესასვლელიდან ხალხი შემოდიოდა, იყო ხმაური, ადგილების ძებნა. ყველაფერი ეს კონცერტის ნორმალურ მსვლელობას საგრძნობლად უშლიდა ხელს. მომღერლის პირველი სიმღერები ამ უწესრიგობის გამო ხმაურმა დაფარა. ეს იმდენად ალმაშფოთებელი იყო, რომ კონცერტის კონფერანსიე იძულებული გახდა ესტრადიდან მოეწოდებინა მაყურებლისათვის წესრიგისაკენ.

სპორტის სახახლის დირექციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მესამე ზარის შემდეგ მაყურებელთა შესვლა ცენტრალურ დარბაზში ყველგან აკრძალულია, და ამიტომ აქაც მთავარი შესასვლელი ანტრაქტამდე დაკეტილი უნდა იყოს.

არსებობს კანონი იმის შესახებ, რომ სალამოს კონცერტებზე არ იქნან დაშვებული 16 წლამდე ბავშვები. იმ სალამოს ესეც დაივიწყეს ფილარმონიისა და სპორტის სასახლის დირექციამ.

კონცერტის მსვლელობას თავისი წესი და რიგი აქვს და მისი დაცვა ყველა შემოხვევაში აუცილებელია.

Ზ. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მღერის იოვანა.
ფოტო ბ. დადვაძისა.
(საქდესის ფოტოკრონიკა).

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (სპ. კორ.). ქუთაისელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა „გულია მასპინძლობა გაუწიეს ტაშკენტიდან ჩამოსულ პიონერებს, რომლებიც ზაფხულის არდადეგებს ქუთაისელ თანატოლებთან ერთად შავი ზღვის სანაპიროს პიონერთა ბანაკებში გაატარებენ.

ნორჩი ტაშკენტელები ეწვევნენ პიონერთა საქალაქო ბანაკს, დაათვალიერეს ქალაქის ორსშესანიშნაობა ადგილები, სკოლები.

მასპინძლებთან ერთად ტაშკენტელ პიონერთა და მოსწავლეთა ერთი ჯგუფი დასასვენებლად გაიმგზავრა ქობულეთში, საავტომობილო ქარხნის პიონერთა ბანაკში, ხოლო მეორე ჯგუფი — მუსერაში, ახორემუკომბინატის პიონერთა ბანაკში.

ᲛᲐᲠᲙᲐ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲘᲣᲒᲘᲚᲐᲠᲡ

სოხუმის ბოტანიკური ბაღის არსებობის 125 წლეული შეესრულდა. აქ დიდი სამუშაოები ხორციელდება ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების აკლიმატიზაციისა. და საქართველოს სოფლის მეურნეობაში მათი დანერგვისათვის.

„აფხაზეთის ამ უძველესი სამეცნიერო დაწესებულების სპეციალისტთა კოლექტივი მონაწილეობდა ისეთი მნიშვნელოვანი შრომების შედგენაში, როგორიც არის ოთხტომეული „აფხაზეთის ფლორა“, „დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკების ხეებისა და ბუჩქნარების ფლორა“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ სოხუმის ბოტანიკური ბაღი მუდმივი მონაწილეა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა, სადაც არაერთგზის დაიმსახურა საპატიო დიპლომი.

ბაღის იუბილეს აღსანიშნავად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ახლახან გამოუშვა სამი საფოსტო მარკა-ბანერ. შემდგარი სერია. ერთ-ერთ მათგანზე — სამკუთხა ბოტანიკურ ბაღის მარკაზე აღბეჭდილია ვარდისფერი ლოტოსი, რომელმაც სოხუმში გაიხარა ბოტანიკური ბაღის მეცნიერ თანამშრომელთა გულდადებული მუშაობის წყალობით. ეკვსკალიპტიან მარკაზე გამოსახულია აფხაზეთისათვის დამახასიათებელი მეფარეული ს